მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №10

ქ. მარტვილი 04 ივნისი, 2018 წელი

სხდომა დაიწყო 12^{00} სთ-ზე დამთავრდა 13^{30} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, გიორგი რუხაია, ბორის მიქავა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, ონერი კუჭავა, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, ნათია ქაჯაია, ვარლამ ცეკვავა, ბესიკ ხაინდრავა, დათო ხელაია, გიზო ხარება.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ ალექსანდრე ახვლედიანი.

საკრებულოს სხდომა ჩატარდა მერიის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ახვლედიანმა დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ახვლედიანმა სთხოვა დამსწრე საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: რამაზ ხურცილავამ, რომან ფონიავამ, რომლებიც დაეთანხმნენ დღის წესრიგის დამტკიცებას წარმოდგენილი სახით.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ-მა ალექსანდრე ახვლედიანმა აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, რომელიც დამსწრე საკრებულოს წევრებმა მიიღო ერთხმად.

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №36 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ალექსანდრე ახვლედიანი, საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასება.
   /მომხსენებელი-ალექსანდრე ახვლედიანი, საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ-ის ალექსანდრე ახვლედიანის მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი თანახმად საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" 85-ე მუხლის შესაბამისად პირველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ინიცირებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ(30.04.2018 წელი N998), რომელიც დაურიგდათ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ახვლედიანმა სთხოვა დამსწრე საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ჯამბურიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ სხდომას ასევე უნდა ესწრებოდეს მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა, ვინაიდან შეკითხვები გამაჩნია მის მიმართ.

მერის პირველმა მოადგილემ დავით სურმავამ აღნიშნა, რომ ალექსანდრე გრიგალავა იმყოფება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში და ამის გამო ვერ დაესწრო დღევანდელ საკრებულოს სხდომას და სთხოვა საკრებულოს წევრებს მასზე დაესვათ მათთვის საინტერესო შეკითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ახვლედიანმა აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, რომელიც დამსწრე საკრებულოს წევრებმა მიიღეს ერთხმად.

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №37 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ: ალექსანდრე ახვლედიანი
/საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე/